



## სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი რუსულ ოკუპაციას აპროტესტებს

დღეს სამების საკათედრო ტაძარში აღევლინა 1921 წლის თებერვალში საბჭოთა რუსეთის საოკუპაციო ჯარებთან ომში დაღუპული იუნკერების სულელების მოსახსენიებელი პანაშვიდი. პანაშვიდი აღავლინა ზუგდიდისა და ცაიშის მიტროპოლიტმა მეუფე გერასიმემ. პანაშვიდს ასევე ესწრებოდნენ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები და რექტორი პროფესორი ჯონი აფაქიძე. დღესვე სტუდენტებმა მთაწმინდის პანთეონში ქაქუცა ჩოლოყაშვილის საფლავს პატივი მიაგეს და გვირგვინებით შეამკეს.

## ოკუპაციის კვირეულის დახურვა აფხაზეთის №8 საჯარო სკოლაში

2010 წლის 26 თებერვალს სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი პროფ. ჯონი აფაქიძე, სამეცნიერო - კვლევითი დეპარტამენტის უფროსი პროფ. ზურაბ პაპასქირი, განათლების ფაკულტეტის დეკანი ასოც. პროფ. ლია ახალაძე და ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი ასოც. პროფ. ბექან ხორავა "ოკუპაციის კვირეულის" დახურვის დღეებში მონაწილეობდნენ აფხაზეთის №8 საჯარო სკოლაში, რომელიც დროებით წყნეთში არის განთავსებული.

მოსწავლეებთან და მშობლებთან შეხვედრის დროს უნივერსიტეტის რექტორმა ისაუბრა ჩვენი ქვეყნის ისტორიაზე და რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის ეტაპებზე, ასევე ყურადღება გაამახვილა სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის როლსა და მნიშვნელობაზე აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების საკითხში. საქართველოს ისტორიის მოკლე რაკურსი იქნა

წარმოდგენილი პროფ. ზურაბ პაპასქირის, ლია ახალაძისა და ბეჟან ხორავას მოხსენებებში. შეხვედრის დროს წარმოდგენილი იქნა მასწავლებელთა თვითშემოქმედება, რომელმაც დიდი მოწონება და ოვაციები დაიმსახურა. სკოლის მხრიდან ოკუპაციის კვირეულის დახურვას ხელმძღვანელობდა მასწავლებელი მედეა სალია.